

## შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების  
ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის

2021 წელი

## აბსტრაქტი

მოცემულ კვლევაში წარმოდგენილია ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნა-მიწოდების, საჭიროებების, ადექვატური ვაკანსიების, დამსაქმებელთა დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაცია. "შრომისა და განათლების ბაზრის კვლევის" ანალიზი, რომელიც უშუალოდ, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიასთან არის დაკავშირებული, მომზადდა ამ მიმართულების სამაგიდო და დამსაქმებელთა კვლევების საფუძველზე. კვლევის ანგარიშში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდით მოპოვებულ მონაცემთა ანალიზი.

უმაღლესი განათლების მიმართ დამოკიდებულების შესწავლასა და დამსაქმებელთა მოთხოვნებზე ორიენტირებული კვლევა განხორციელდა 2021 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში. კვლევაში გამოყენებულია პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციების ინფორმირებული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სამიზნე სეგმენტის ორგანიზაციების წარმომადგენელთა დამოკიდებულებების შესწავლა და შრომისა და განათლების ბაზარზე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით მიმდინარე პროცესების ანალიზი.

## სარჩევი

შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა.....	1
აბსტრაქტი.....	2
შესავალი .....	4
კვლევის მიზნები.....	7
კვლევის მეთოდოლოგია .....	7
კვლევის ძირითადი ნაწილი .....	8
სტუდენტების მიღება .....	11
დაწყებითი განათლება .....	11

## შესავალი

შრომის ბაზარი არის საბაზრო ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი და საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების მრავალმხრივი სფერო. შრომის ბაზარი არის ეროვნული კეთილდღეობის, სტაბილურობისა და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ეფექტურობის ერთ-ერთი მარეგულირებელი და ინდიკატორი.

შრომის ბაზრის პრობლემა, დასაქმება და უმუშევრობა ჩვენი დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ – ეკონომიკური პრობლემაა. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ეს პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს. ჯერ კიდევ, ახლო წარსულში ითვლებოდა, რომ სახელმწიფოს მიერ გაცნობიერებული იყო დასაქმების საყოველთაო უფლება და მრავალი წლის განმავლობაში ქვეყანაში არ განიხილებოდა დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები, როგორც ეკონომიკური, ასევე იურიდიული თვალსაზრისით.

გარკვეული თვალსაზრისით, ზოგადი სიტუაცია ასეთია - განვითარებულ ქვეყნებში უმეტესობამ უკვე ჩამოაყალიბა შრომის ბაზარი, მიიღეს გამოცდილება დასაქმების პრობლემების მოგვარების საკითხში და ისწავლეს უარყოფითი შედეგებთან გამკლავება. ამასთან, ჩვენს ქვეყანაში შრომის ბაზარი მხოლოდ ყალიბდება. ამიტომ, მთელი რიგი პრობლემები - შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებები, დასაქმება და უმუშევრობა, შრომის საბაზრო სისტემაზე გადასვლის რეგულირების პრობლემები, უმუშევრობის რეგიონალური ასპექტები და სხვა - პერმანენტული კვლევის საგანია.

გარდა ამისა, უახლოეს წარსულში უცხო ცნება იყო ”საგანმანათლებლო მომსახურების მარკეტინგი”. თანამედროვე პერიოდში კი საგანმანათლებლო ბაზარზე ვითარება სულ სხვაგვარი გახდა. დღეს სახელმწიფოს განათლების სისტემის სტრატეგიის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ეფექტური საგანმანათლებლო მარკეტინგის უზრუნველყოფა. განათლების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ სახელმწიფოს ამოცანებზე, არამედ მუდმივად მზარდ შრომის ბაზრისა და საზოგადოებრივ მოთხოვნაზე, სადაც ასევე, გასათვალისწინებელია ოჯახების სპეციფიკური, ადგილობრივი თემების, საწარმოების ინტერესები. საგანმანათლებლო მომსახურების წარმომადგენლებმა და მომხმარებლებმა უნდა შექმნან დამატებითი ფინანსური, მატერიალური და ტექნიკური რესურსების მოზიდვის საფუძველი.

შრომისა და განათლების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მიმდინარეობს დღეს საწარმოებსა და ორგანიზაციებში თანამშრომელთა დაქირავების პროცესი, რაც ქმნის აუცილებელ სამუშაო ძალას, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი შემაღეწელობით.

ბოლო წლების განმავლობაში სამეცნიერო საზოგადოებამ, სახელმწიფო სტრუქტურებმა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და განათლების სამინისტროებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ინტერესი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების პრობლემების კვლევის მიმართ. შესაბამისად, ცხადია, რომ განათლების სფეროში მარკეტინგული ტიპის მიდგომა პერსპექტიული და უნიკალური ფენომენია.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მარკეტინგული ხასიათის საქმიანობა ძირითადად ემყარება ზოგად პრინციპებს, მაგრამ საგანმანათლებლო მომსახურების თავისებურებებიდან გამომდინარე, არსებობს ორი ძირითადი განსხვავება:

- საგანმანათლებლო მომსახურებებზე ორიენტაცია - ცვლილებები, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობა მიზნად ისახავს ახალი საგანმანათლებლო სერვისების შექმნას ან არსებული სერვისების გაუმჯობესებას;
- მომხმარებელზე ორიენტაცია - როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობა მიზნად ისახავს ბაზარზე მომდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რაც განსაზღვრავს შრომის ბაზრის „ნიშის“ შესწავლას.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნებს შორის ხაზგასმულია ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ურთიერთდაკავშირება, მართვა და განვითარება, კვალიფიკაციების შეთავსებადობის, შესადარობისა და გამჭვირვალობის საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფა, სწავლის პერიოდში მიღებული ფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობა, არსებული კვალიფიკაციების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, განათლების სისტემაში საზოგადოების მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების ასახვა და მათი შესაბამისი, განახლებადი კვალიფიკაციების აღწერის სტიმულირება.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup><https://eqe.ge/ka/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho>

ნათელია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიზნები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების ეტაპობრივ შესვლას საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე და ხელს უწყობს შრომის ბაზრის მენეჯმენტის ეფექტურობის გაუმჯობესებას.

მოცემული მიზნის მისაღწევად საჭიროა პრობლემის მოგვარება, კერძოდ, განათლების სფეროში და მათ შორის, სასწავლო დაწესებულებებისა და შრომის ბაზრის მარკეტინგული ხასიათის სისტემის მახასიათებლების შესწავლა, რაც განაპირობებს განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების ბალანსს.

კვლევის აქტუალობა და მნიშვნელოვნება, ასევე, დასტურდება იმ ფაქტით, რომ ბოლო პერიოდის საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტისა და სხვადასხვა სტრუქტურების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით ჩანს, რომ უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლების დამღევა გართულებულია და არა, პირიქით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის მონაცემებით საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 21.9%-ია, რაც უმუშევრობის პრობლემის აქტუალობაზე მეტყველებს. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ უმუშევრობის დონე ბოლო ხუთი წლის მონაცემებით, არ ხასიათდება კლებადი ტენდენციით. 2019 წლიდან უმუშევრობის მინიმუმ 1%-იანი ზრდის ახსნა შესაძლებელია, კოვიდ-პანდემიის პირობების გავლენით, თუმცა, 2017 წლიდან უმუშევრობის ზრდა მცირედით (0.2%), მაგრამ მაინც ფიქსირდება.

შრომის ბაზარი ვერ არეგულირებს სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი პირობების შექმნას. განსაკუთრებით დაბალი კონკურენტუნარიანობის მქონე სამუშაოს მაძიებელთათვის. პრობლემის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია დასაქმების სფეროში მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ სანდო ინფორმაციის არსებობა.

შესაბამისად, უსდ-ების შიდა სიტუაციური კვლევის გარდა, მნიშვნელოვანი კომპონენტია შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა. კონკრეტული კვლევა გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად, დამსაქმებელთა კვლევას.

## კვლევის მიზნები

წინამდებარე კვლევის მიზანია განათლებისა და შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნების კვლევა. კვლევის განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია კონკრეტული ამოცანების შესახებ პასუხების მიღება:

- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულების სამუშაოზე აყვანის პრაქტიკა/გამოცდილება და სიხშირე;
- ✓ შერჩეული კურსდამთავრებულების შერჩევის პროცესი (სირთულეების შესწავლა);
- ✓ შრომის ბაზარზე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადი პროფესიებისა და პროფესიული კომპეტენციების, (შრომისა და განათლების ბაზრის) განსაზღვრა;
- ✓ დამსაქმებელთა დამოკიდებულებების შესწავლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და ზოგადად, უმაღლესი განათლების ხარისხის მიმართ და ა.შ.;
- ✓ კადრების შერჩევისას ორგანიზაციათა/საწარმოთა მიერ გამოყენებული ან აქტუალური ინფორმაციის წყაროებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ოპტიმალური საკომუნიკაციო არხების შესწავლა.

## კვლევის მეთოდოლოგია

### მეორადი ინფორმაციის დამუშავება

სამაგიდო კვლევის ფარგლებში, განხორციელდა შრომისა და განათლების ბაზრის ეროვნულ დონეზე, არსებული სტატისტიკური მონაცემებისა და კვლევების განხილვა.

### რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა სამეგრელოს მუნიციპალიტეტებში. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების არსებული და პოტენციური დამსაქმებლები, სამეგრელოს მასშტაბით.

შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მოქმედ ორგანიზაციათა/საწარმოთა სია. შესაბამისად, შერჩევის ბაზის ფორმირება განხორციელდა რამდენიმე კრიტერიუმზე დაყრდნობით. კერძოდ, ორგანიზაციის/საწარმოს სიაში შერჩევის დროს, გარდა ორგანიზაციის/საწარმოს მაიდენტიფიცირებელი მონაცემებისა (საწარმოს სახელწოდება, ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, საგადასახადო კოდი), ყურადღება გამახვილდა საქმიანობის სფეროს, საწარმოს ზომაზე (მსხვილი/საშუალო/მცირე), NACE კლასიფიკაციაზე, დასაქმებულთა რაოდენობასა (დაჯგუფებული), და იურიდიულ სტატუსზე (საკუთრების ფორმა).

საკუთრების სტატუსით, სულ შეირჩა 10 სკოლა, მათ შორის 3 კერძო და 7 საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები. ორგანიზაციებში რესპონდენტს წარმოადგენდა ორგანიზაციაში კადრების შერჩევასა და რეკრუტირებაზე პასუხისმგებელი პირი ან უშუალოდ პედაგოგი (კომპანიის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ა.შ.).

კვლევის ინსტრუმენტი - კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა რაოდენობრივი კვლევის პირისპირ ინტერვიუს კითხვარი. კითხვარის შემუშავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით. პირისპირ ინტერვიუს ხანგრძლივობა შეადგენდა 15-20 წთ.

## კვლევის ძირითადი ნაწილი

### ეკონომიკური მაჩვენებლები

ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლების განხილვა მოიცავს, ბოლო 3 წლის შრომის ბაზრის ტენდენციებს. კოვიდ-პანდემიის პირობების გავლენა, ბოლო პერიოდის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ცხადია, ნეგატიურად აისახა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვის ფორმა და



მიდგომები, პანდემიის გავლენის შედეგად, სრულიად შეიცვალა. კერძოდ, ფაქტობრივად, არარელევანტურია 2019 წლის წინა პერიოდიდან გამომდინარე, გლობალურ საკითხებზე მსჯელობა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, უახლოესი პერიოდის მაჩვენებლების განხილვა, მითუმეტეს, რომ კვლევა არ წარმოადგენს ეკონომიკის სტრატეგიულ დოკუმენტს და ორიენტირებულია კონკრეტულად ჩამოყალიბებულ თემაზე.

2021 წლის მონაცემებით, განათლების ეკონომიკური სექტორის სუბიექტების მონაცემებით, 7891 რეგისტრირებული პირიდან აქტიურ სტატუსს ინარჩუნებს 4645. შესაბამისად, აშკარაა, ყველა სამართლებრივი ფორმის მონაცემებში რეგრესული კლება, რაც მოწმობს ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრ შემცირებას. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2021)<sup>2</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ განათლების ეკონომიკური სექტორი აერთიანებს, სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების სექტორებს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში, აქტიური სუბიექტები წარმოდგენილია გაერთიანებული სახით. თუმცა, არსებობს ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში პედაგოგთა დასაქმების ტენდენციების აღრიცხვა წლების მიხედვით.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა 2021 წელი	რეგისტრირებული სუბიექტი		აქტიური სუბიექტი	
	სუბიექტთა რაოდენობა	%	სუბიექტთა რაოდენობა	%
განათლება	7891	0.96	4645	2.52

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგების რაოდენობის მაჩვენებლების მიხედვით, ცხადია, რომ საჯარო სკოლებში 2017-2021 წლებში, სასწავლო წლის დასაწყისისთვის, პედაგოგთა დასაქმების შემცირება არ არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით გამოკვეთილი. სხვა ეკონომიკურ სექტორებში დასაქმების მაჩვენებლების მკვეთრი შემცირების ფონზე, აშკარაა, რომ პედაგოგთა პროფესია, ნებისმიერი ზოგადეკონომიკური მდომარეობის პირობებში, მნიშვნელოვანია და მათი დასაქმებაც შესაბამისად, მეტ-ნაკლებად სტაბილურია.

**პედაგოგების რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში  
(სასწავლო წლის დასაწყისისთვის, კაცი)**

<sup>2</sup> <https://www.geostat.ge/ka>

	2017/2018	2018/2019	2019/2020	2020/2021
პედაგოგები – სულ	66 634	67 344	63 780	62 699
საჯარო სკოლებში	59 544	59 259	55 946	55 491
კერძო სკოლებში	7 090	8 085	7 834	7 208

საინტერესოა, უშუალოდ დაწყებითი განათლების მიღების მაჩვენებლები, რაც ასახავს, მოსწავლეთა მიღების რაოდენობას წლების მიხედვით და პირდაპირკავშირშია დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა მოთხოვნასთან, მოთხოვნა-მიწოდების მნიშვნელოვანი კრიტერიუმის ანალიზისთვის. დაწყებითი განათლების მიმღებთა რაოდენობა 2000-2500 მოსწავლის ფარგლებში მატება-კლების ტენდენციას აჩვენებს 2017 -დან 2021 წლამდე, რაც ასევე, ადასტურებს კონკრეტულად დაწყებითი საფეხურისთვის მასწავლებელთა მაღალ მოთხოვნას. ამასთან, კონკრეტულად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოსწავლეების რაოდენობა 2017-2021 წლებში განსაკუთრებით სტაბილური მაჩვენებლებით იკვეთება, უფრო მეტიც, 2018 წლიდან შეინიშნება მოსწავლეთა ზრდა.

დაწყებითი განათლების მიღების მაჩვენებლები (ერთეული)								
	2017		2018		2019		2020	
	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი
მიიღო:								
დაწყებითი განათლება (დაასრულა 6 კლასი)	24 525	27 500	21 506	23 780	21 794	23 764	22 384	25 197
მოსწავლეების რაოდენობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (სასწავლო წლის დასაწყისისთვის)								
	2017		2018		2019		2020/2021	
მოსწავლეთა რიცხოვნობა, კაცი	43 496		43 684		43 840		44 691	

## სტუდენტების მიღება

ადგილობრივ სტუდენტთა მიღება 2020-2021 სასწავლო წლის მონაცემებით ბაკალავრიატის საფეხურზე 42,162, მაგისტრატურა 14091. სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორთაგან 2020-2021 სასწავლო წელს, ბაკალავრიატზე (75,721 კაცი) და მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურაზე (21,477 კაცი) სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობა არასახელმწიფო სექტორზე მაღალია.

განათლების პროგრამებზე სტუდენტთა მოთხოვნა, როგორც საბაკალავრო, ასევე მაგისტრატურის სასწავლო დონეებზე საკმაოდ მაღალია. სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში 2020-2021 წლებში, განათლების ბაკალავრიატის სასწავლო დონეზე 2207, მაგისტრატურის საფეხურზე 287 სტუდენტი ირიცხება.

	არასახელმწიფო			სახელმწიფო		
	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა
სტუდენტთა რიცხოვნობა სახელმწიფო და არასახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით 2020-2021 სასწავლოწელი <sup>1)</sup>						
<b>სტუდენტები, სულ</b>	<b>42,162</b>	<b>14,091</b>	<b>473</b>	<b>75,721</b>	<b>21,477</b>	<b>3,370</b>
განათლება	31	185	25	2,207	287	549

## კვლევის ძირითადი ნაწილი

კვლევის შედეგებით, როგორც მოსალოდნელი იყო, უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციებიდან, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის საგანმანათლებლო მიმართულების დამსაქმებლებში თბილისის ი. ჯავახიშვილის


სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოზიციონირებულია მაღალი ცნობადობით. კონკრეტული უნივერსიტეტის პოპულარობის, როგორც იმიჯის მაფორმირებელი ერთ-ერთი დადებითი ფაქტორის განმსაზღვრელი, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის იურიდიული სტატუსია (სახელმწიფო უნივერსიტეტი), რაც დამსაქმებლებში გამოკვეთილ სტერეოტიპად შეიძლება ჩაითვალოს, მეორე მხრივ, კი უმაღლეს სასწავლებლებს შორის ლიდერი პოზიცია, როგორც ძველი, გამოცდილი საგანმანათლებლო დაწესებულება.

სპონტანური დასახელება გულისხმობდა, ერთი კონკრეტული და შემდეგ ჯერზე რამდენიმე უმაღლესი დაწესებულების დასახელების შესაძლებლობას. ზოგადად, სპონტანური დასახელების პრინციპია, გამოვლინდეს საზოგადოების ცნობიერებაში პოპულარული საკვლევი ობიექტები, მიუხედავად დამოკიდებულებისა. საინტერესოა, რომ სპონტანურად უმაღლესი დაწესებულებების დასახელებისას, დამსაქმებლებში სახელმწიფო უნივერსიტეტები წამყვან პოზიციებს იკავებს. ბუნებრივია, სახელმწიფო უნივერსიტეტების ხანგრძლივი პერიოდის საქმიანობა მათი პოპულარობის განმსაზღვრელია და ბოლო პერიოდში საზოგადოებაში კერძო უმაღლესი სასწავლებლების მაღალი მოთხოვნის მიუხედავად, დამსაქმებლებში კონკურენტუნარიანობას ინარჩუნებს.

გრაფიკზე მოცემულია სპონტანურად დასახელებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი. რესპონდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის შესაძლებლობა.

დამოკიდებულება, რომ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის დონე, კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მაღალია, დამსაქმებელთა 37,1% გამოხატავს, ანალოგიური წილი ერგო დამსაქმებლების დამოკიდებულებაში, სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ერთნაირ დონეს.

**თქვენი დაკვირვებით, საქართველოში სწავლების დონე სად უფრო მაღალია სახელმწიფო უსდ-ებში თუ კერძოში?**




უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოს რეგიონის დამსაქმებლებში შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ცნობადობა, ბუნებრივია უფრო

მაღალია, საერთო მაჩვენებლებთან შედარებით, როგორც ადგილზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კონკურენტული უნივერსიტეტის. კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპონტანურად დასახელების შემდეგ, სთხოვეს, შეთავაზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სიაში მოენიშნათ, მათთვის ნაცნობი უნივერსიტეტები/სასწავლო უნივერსიტეტები. კონკრეტული კითხვის ფარგლებში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს კვლევის შედეგებში - 89,2% ასახელებს.

გარდა ამისა, სხვადასხვა დაწესებულებებში მაღალი პოპულარობით გამოირჩევა „აწსუ“-ს კურსდამთავრებულთა დასაქმება. კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულნი (დამსაქმებელთა 51.6%). მეორე და მესამე ადგილებს ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაწმება იკავებს. მნიშვნელოვანია, რომ კონკურენტუანრიანი პოზიცია აქვს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, რომლის კურსდამთავრებულთა დასაქმების წილი 20,9%-ია და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა რაოდენობას (20,9%) აღემატება.


*დაასახელეთ ყველა უმაღლესი სასწავლებელი, რომლის კურსდამთავრებულებიც (თუნდაც ერთი) მუშაობს თქვენს ორგანიზაციაში.*



საგულისხმოა, რომ დასაქმებულთა განწყობებში ერთი მხრივ, ყველაზე ნაკლები აქცენტები კონკრეტულ უმაღლეს დაწესებულებზე/მიზანმიმართულად უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით კურსდამთავრებულთა შერჩევაზე კეთდება, მეორე მხრივ, კი დასაქმებულთა შორის, რამდენიმე უმაღლესი დაწესებულების კურსდამთავრებულთა მაჩვენებლები ლიდერ პოზიციებს იკავებს. შესაბამისად, ნათელია, რომ დამსაქმებლები ამ მხრივ, ნდობას უცხადებენ, აწუსს, თსუ-ს, სტუ-ს, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს და ა.შ.

კრიტერიუმთა შორის, რაც სფეროს დამსაქმებლებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევა დასაქმებულთა პრაქტიკული უნარ-ჩვევები, დარგის სიღრმისეული ცოდნა და ზოგადად, პრაქტიკული გამოცდილება ლიდერობს. დამსაქმებლები ასევე, მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებენ კონკრეტული სპეციალობის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე. სამუშაო გამოცდილება, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი დამსაქმებლებში აქტუალურია, როგორც მოთხოვნადი უნარ-ჩვევების ერთგვარი გარანტია.

**ორგანიზაციაში რეალურად რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება კადრის შერჩევა**




## დაწყებითი განათლება

ვინაიდან შრომის ბაზრის მოთხოვნების გარდა, კვლევა ითვალისწინებდა განათლების ბაზრის კვლევას, რაც დამსაქმებლებში საკვლევი კვალიფიკაციების მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციების გამოვლენას გულისხმობს, მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებლების ძირითადი მოთხოვნების გარკვევა ისეთ ვაკანტურ პოზიციებზე, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის ქონის აუცილებლობას გულისხმობს. დამსაქმებლებს ვთხოვეთ, დაესახელებინათ მათთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები და მნიშვნელოვნების მიხედვით შეეფასებინათ თითოეული მათგანი. რესპონდენტებმა სპონტანურად (შეხსენების გარეშე) დაასახელეს ის კრიტერიუმები, რაც მათთვის ვაკანტური ადგილების შევსებისას პრიორიტეტულია.

კვლევამ აჩვენა, რომ კრიტერიუმთა ჩამონათავლში წამყვან ადგილებს, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვასთან დაკავშირებული ფაქტორები დასაქმებისთვის აპრიორი გარდაუვალ ფაქტორად არის ფორმირებული. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პროფესიული უნარები და დარგის სიღრმისეული ცოდნა. უფრო მეტიც, კრიტერიუმთა შორის, კადრების შერჩევისას, საგნობრივი მოდულების ხარისხიანი ცოდნა, დასკვნის უნარი და პროფესიული უნარები დასაქმებულებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა.


**დასახელებთ ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიულ-საგანმანათლებლო ცოდნა, რაც მნიშვნელოვანია, თქვენს სფეროში კადრების დასაქმებისთვის**



სხვა მხრივ, დამსაქმებლები, დიდწილად აქცევენ ყურადღებას ისეთ ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორცაა ზეპირი და წერილი უნარები, ანალიზტიკური და დასკვნითი უნარები, სრულყოფილი კომუნიკაცია სასკოლო გარემოს შემადგენელ სუბიექტებთან და ეფექტური უკუკავშირი მათთან. მნიშვნელოვანია, რომ დაწყებითი საფეხურის დამსაქმებელთა დიდი ნაწილის მოთხოვნა პრაქტიკულ გამოცდილებაზე არის შეჩერებული, რადგან, დამსაქმებლების მხრიდან მიიჩნევა რომ სწავლების ამ პრიცესის წარმოება და პარალელურ რეჟიმში პრაქტიკული გამოცდილების მიღება, ერთგვარი რისკ-ფაქტორია, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც მცირეწლოვან ბავშვებთან ურთიერთობას და გარკვეულწილად მათი უნარებისა და ცოდნის ფორმირებაზე პასუხისმგებლობას გულისხმობს.




**კითხვა: სპონტანური დასახელება: ორგანიზაციაში რეალურად რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება კადრის შერჩევა?**




ბოლო 3 წლის განმავლობაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა მიღების შედეგები დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა პროფესიულ ადგილებზე, საშუალოდ 11 მასწავლებელია. რესპონდენტთა გადმოცემით, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ვაკანტური ადგილები სკოლებში უფრო ხშირი და მოთხოვნადია, ვიდრე სხვა საფეხურის მასწავლებლების მიღება. კონკრეტულ პოზიციაზე მასწავლებელთა მიღება გამოწვეულია კადრების მაღალი დენადობით, რასაც ორგანიზაციის ხელმძღვანელები, დარგის სპეციფიკასთან ასოცირებულ სირთულეებს უკავშირებენ. მათი გადმოცემით, საწყის ეტაპზე პედაგოგებად მიღებულ კადრებს, აქვთ მაღალი მოტივაცია და ენთუზიაზმი, თუმცა, სასკოლო გარემოს შემადგენელი სუბიექტების მრავალფეროვნება და უშუალოდ,

სასწავლო პროცესის წარმართვა მცირეწლოვანებთან, ხშირა დიწვევს მათ იმედგაცრუებას.

გთხოვთ, შეაფასოთ 5 ქულიან სკალაზე, თქვენს ორგანიზაციაში ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროგრამის კურსდამთავრებული კადრების კვალიფიკაციით კმაყოფილება (1 ნიშნავს, სრულიად უკმაყოფილო, ხოლო 5 - სავსებით კმაყოფილი)



კადრების შერჩევის სირთულის მიზეზებს შორის, დაწყებითი განათლების პროგრამის სპეციალობებში, აქტუალურია აპლიკანტთა გამოცდილება (23,8%). კადრების შერჩევის სირთულის კრიტერიუმების სკალაზე აშკარაა ანაზღაურების ოდენობას მიმართ, სხვა კრიტერიუმებით პოზიტიური ნიშნით გამოკვეთილი და დამსაქმებლებისთვის პოტენციური პედაგოგების უარყოფითი დამოკიდებულება.



უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კვლევის მასშტაბისა და ერთ პროგრამაზე ორიენტირებულობისა, დამსაქმებლებს აქვთ საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი,

რომელთა ცოდნას ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის მიერ, თანაბრად სავალდებულოდ მიიჩნევენ. კომპეტენციებს შორის, რესპონდენტებმა დაასახელეს როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული უნარ-ჩვევები.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დამსაქმებელთა შეხედულებები მოთხოვნად კომპეტენციებზე. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთა მიერ დასახელებული მოთხოვნადი კომპეტენციები კვლევაში მოცემულია უცვლელად. შინაარსობრივად, შესაძლებელია, ზოგიერთი მათგანის იდენტურობა, თუმცა, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, დამსაქმებლები ითხოვდნენ, უცვლელად დაფიქსირებულიყო კვლევის შედეგებში. გარდა ამისა, თითოეული კომპეტენცია/უნარი კლასიფიცირებულია კვალიფიკაციების მიხედვით, ასევე, დამსაქმებელთა მითითებით


ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების დამსაქმებელთა სასურველი კომპეტენციების ჩამონათვალი	%
<b>პროფესიული უნარები</b>	
სწავლების თანამედროვე ტენდენციების ცოდნა	51.5
დაწყებითი განათლების პედაგოგისათვის საჭირო ცოდნა საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება	42.4
ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტების ცოდნა	36.4
მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციისა და მათზე პროფესიული გავლენებისთვის საჭირო ცოდნა	33.6
გამოცდილება პედაგოგიურ საქმიანობაში (დაწყებით საფეხურზე)	25.3
მოსწავლეთა შეფასების მეთოდების ცოდნა	15.4
პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნა	11.6
კლასის მართვა	14.1
პრაქტიკული კვლევის შესრულებისთვის აუცილებელი ცოდნა	10.5
უცხო ენის ცოდნა	8.3
დამხმარე სასწავლო რესურსების მოძიებისთვის საჭირო ცოდნა	8.4
სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლეებთან	7.9
ICT ტექნოლოგიების მოძიებისთვის საჭირო ცოდნა	7.5
მოსწავლეთა შორის ჯანსაღი, პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება	5.4
ინკლუზიური განათლების პრინციპები	3.5
<b>პიროვნული უნარები</b>	
ახალი ცოდნის მოძიების უნარი	34.6
პრობლემის/საჭიროების იდენტიფიცირების უნარი	32.5
კომუნიკაციის უნარი	24.2

დამოუკიდებლად მუშაობის უნარი	14.4
კრეატიულობა და ინოვაციურობა	13.6
სტრესულ გარემოსთან გამკლავების უნარი	12.5
მენეჯმენტთან გუნდური მუშაობის უნარი	9.6

საინტერესოა, რომ კონკრეტული სფეროს დამსაქმებლები, ვაკანტური ადგილების შესავსებად, ძირითადად, პროგრამების უმრავლესობაში, ბაკალავრის ან მაგისტრის დონეს არ მიჯნავენ, არამედ აქცენტებს აკეთებენ, თუნდაც სასწავლო პროცესში გავლილ პრაქტიკურ გამოცდილებაზე, რაც მათი შერჩევის პრინციპების გარდაუვალი და აუცილებელი კომპონენტია. მაგისტრის დონის მოთხოვნა ყველაზე აშკარად ის რესპონდენტები ითხოვენ, რომელთაც სხვა კომპეტენციებთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უცხო ენის ცოდნა, კადრების დასაქმებისას ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად მიაჩნია, რათა ამ კვალიფიკაციის კადრებმა შეძლონ ზოგასაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებითი საფეხურის სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვა, თუნდაც უცხოური ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით.


სასურველი კადრების მოძიებისთვის ყველაზე ოპტიმალურ წყაროდ რესპონდენტები კერძო დასაქმების სერვისს და არაფორმალურ კავშირებს მიიჩნევენ. აღსანიშნავია, რომ სასწავლო დაწესებულებებთან ურთიერთობას გამოკითხულთა მეოთხედი ოპტიმალურ ფორმად მიიჩნევს. ამასთან, მაღალი სანდობა აქვთ საკუთარ ორგანიზაციაში დასაქმებული კურსდამთავრებულების მიმართ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტების რეკომენდატორების როლს ასრულებენ.

**გთხოვთ, მიჰსაუბროთ უნივერსიტეტებთან, სასწავლო უნივერსიტეტებთან კომუნიკაციისთვის რომელი წყაროებია თქვენთვის მისაღები/ოპტიმალური?**



სფეროს დამსაქმებლებს აქტიური ურთიერთობა და ამასთან სანდოობა აქვთ, ზოგადად, ინტელექტუალურ საინფორმაციო წყაროებთან. კვლევამ აჩვენა, რომ მათთვის ოპტიმალურია საგანმანათლებლო დაწესებულებების, განათლების ფორუმებისა და სამეცნიერო კომფერენციებიდან მიღებული ინფორმაცია, კადრების შერჩევისას. კვლევაში მონაწილე დამსაქმებლების ძირითადი ნაწილი კადრებს ქვეყნის შიგნით ეძებს.

განათლების საკითხების შესახებ ეფექტურ საინფორმაციო წყაროდ საინფორმაციო ვებ-გვერდები, სადაც მათთვის მისაღები ლაკონურობით არის გადმოცემული ნებისმიერი სიახლე. (64,3%), სოციალური ქსელები (50%) და სამეცნიერო კონფერენციები (42,9%) მიიჩნევა.



კვლევის ძირითადი ტენდენციები:

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ცნობადობა დასავლეთ საქართველოს რეგიონში მაღალია;
2. დამსაქმებლების აზრით, უნივერსიტეტის განვითარებისათვის პრიორიტეტულად სახელდება:
  - საუნივერსიტეტო პრინციპებზე და ღირებულებებზე დაფუძნებული, მოქნილი და გამჭვირვალე მმართველობითი სისტემა;
  - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება დასახული მიზნის მიღწევისათვის;
  - სასწავლო გარემოს გაუმჯობესება თანამედროვე და ინკლუზიური გარემოს მოთხოვნების შესაბამისად;
  - საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
3. დამსაქმებლის ჩართულობისათვის და მათთან კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია არაფორმალური კავშირები და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან (პროფესორები, თანამშრომლები, კურსდამთავრებულები) პირადი კონტაქტები.

4. დამსაქმებლების ინფორმირებისათვის ყველაზე ხელმისაწვდომად დასახელებულია საინფორმაციო ვებ-გვერდები, უნივერსიტეტის ოფიციალური საიტი და სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდი.
5. პროფესიონალი კადრების მოთხოვნა პერმანენტული ხასიათისაა. ხშირ შემთხვევაში, დამსაქმებლებისთვის დასახელებული კვალიფიციური კადრების პოვნა პრობლემას წარმოადგენს, მათ მიერ მოთხოვნილი პროფესიულ-საგანმანათლებლო ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში განხორციელების გამოცდილების სიმწირისა და ვაკანტურ ადგილებისთვის განსაზღვრული ანაზღაურების ოდენობის გამო.
6. დამსაქმებლების აზრით, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია ყველაზე მეტად უნდა დასტურდებოდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარით, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, დამსაქმებელს უჭირს განასხვავოს ბაკალავრისა და მაგისტრატურისა კურსდამთავრებულისადმი წაყენებული მოთხოვნები.
7. დარგობრივ ცოდნასთან ერთად დამსაქმებლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციის უნარს, რაც სასკოლო გარემოს სუბიექტებთან თანაბარზომიერ და დაგეგმილი ურთიერთობის ფორმებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვას გულისხმობს.

## კითხვარი ემპირიული კვლევისთვის

1. დასახელეთ თქვენს უცვლელ მონაცემებში მყოფი სკოლა
2. თქვენი პოზიცია (დირექტორი/სასწავლო მეთოდოლოგია...)
3. დაწყებით საფეხურის მასწავლებელთა რაოდენობა ასაკის მიხედვით მიუთითეთ ტაბულაში (ფორმა, წამყვანი...)
4. თქვენი აზრით რა უნარებს უნდა ფლობდეს დაწყებით საფეხურის მასწავლებელი
5. გეგმიან თუ არა ვაკანტური ადგილები დაწყებით საფეხურზე. მიუთითეთ რაოდენობა ბოლო 5 წლის მანძილზე
6. როგორია ახალ კადრების დასაქმების ტენდენცია (რამდენი ახალი კადრი გყავთ დაწყებით საფეხურზე)-მიუთითეთ რაოდენობა წლების მიხედვით 2017,2018,2019,2020,2021
7. თქვენს სკოლაში დასაქმებულ დაწყებით საფეხურის მასწავლებელთაგან არიან თუ არა შოთა მესხიას ზუსტდის სახელმწიფოს სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები - მიუთითეთ რაოდენობა წლების მიხედვით 2017,2018,2019,2020,2021
8. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში მინიჭებდით თუ არა შოთა მესხიას ზუსტდის სახელმწიფოს სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ უფროსებს სხვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მიმართებაში? რატომ?
9. სხვა კომენტარი



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



საჯარო სკოლების წარმომადგენლების გამოკითხვის ანგარიში

## შესავალი

**კვლევის მიზანი:** კვლევის მიზანს წარმოადგენდა რეგიონში შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობის შესწავლა- დადგენა იმისა არის თუ არა დაწყებითი სკოლის მასწავლებელზე მოთხოვნა რეგიონის შრომის ბაზარზე

**კვლევის განმახორციელებელი** იყო შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ფოთის, სვანეთის, ჩხოროწხუს, წალენჯიხისა და ხობის სკოლების წარმომადგენლებმა. აღნიშნულ რეგიონში სულ არის 251 საჯარო სკოლა. აქედან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 130 სკოლამ, რაც საერთო რაოდენობის 51% შეადგენს.

## კვლევის ამოცანები:


- რეგიონში არსებულ სკოლებში ადამიანური რესურსების მდგომარეობა;
- მიმდინარე ეტაპზე მოქმედი საჯარო სკოლების მოთხოვნები დაწყებითი კლასის მასწავლებელზე
- დასაქმების დინამიკა
- მოქმედი საჯარო სკოლების წარმომადგენლების თვალსაზრისი საკუთარ რაიონში აღნიშნულ პროფესიაზე კურსდამთავრებლთა დასაქმების მოსალოდნელ მოთხოვნასთან დაკავშირებით;

## მეთოდოლოგია


კვლევის ჩატარებისთვის გამოყენებულ იქნა ონლაინ კითხვარი, რომელიც განთავსდა google-ს პლატფორმა google forms-ში.


## შედეგი

### 1. გამოკითხულის პოზიცია



### 2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა რაოდენობა ასაკია და სტატუსის მიხედვით (უფროსი, წამყვანი...)






3. კითხვაზე თუ რა უნარებს უნა ფლობდეს დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი , პასუხები მრავალფეროვანია. გამოკითვლები აფიქსირებენ რომ დაწყებითი კალსების მასწავლებელი უნდა იყოს: კომუნიკაბელური, ჩაწვდეს თითოეული მოსწავლის შინაგან სამყაროს. შეეძლოს მოსწავლის მოტივაციის ამაღლება და ფლობდეს თანამედროვე ტექნოლოგიებს ,რათა შეძლოს მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარება, იცოდეს კლასის მართვის სტარტეგიები, შეეძლოს ინდივიდუალური განსხვავებების აღიარება, ეფექტური მუშაობა მრავალფეროვანი კულტურული კონტექსტებით, ფლობდეს შეფასების უნარებს, მას უნდა უყვარდეს ბავშვები, გამოირჩეოდეს პასუხისმგებლობით, იყოს შრომისმოყვარე, საქმის პროფესიონალი, რეგულარულად უნდა ზრუნავდეს პროფესიულ განვითარებაზე. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება, იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, უნდა ჰქონდეს შემოქმედებითობის უნარი, უნდა იყოს მუდამ ახლის ძიებაში. ჰქონდეს აკადემიური ცოდნა, შეეძლოს სიახლეების შესაბამისად სასწავლო პროცესის წარმართვა და ორგანიზება, ფლობდეს გამჭოლი კომპეტენციების საშუალო დონეს მაინც. უსაზღვროდ უყვარდეს ბავშვები, კარგად უნდა იცნობეს მოსწავლეების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, უნდა იყოს კრეატიული, უნდა შეეძლოს მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება, უნდა შეეძლოს თანამშრომლობა და კონფლიქტების პრევენცია.


უნდა ჰქონდეს გაწონასწორებული ხასიათი, კულტურის მაღალი დონე, იმპროვიზაციის უნარი და აზროვნების მოქნილობა. სასურველია კარგი დიქტიკა. ნებისმიერი მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს თვითგანვითარებისთვის. ამისთვის მნიშვნელოვანია რეფლექსური უნარები. ეფექტური კომუნიკაციის უნარები სასწავლო პროცესში მონაწილე ყველა პირთან. სწორად შეფასების, ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელების უნარები. სრულყოფილად

ფლობდეს საგანს და მისი სწავლების თანამედროვე მეთოდებს, კარგად იცოდეს ფსიქოლოგია, უყვარდეს თავისი პროფესია და ბავშვი, მიიღოს ნებისმიერი ისე როგორც გაჩნდა. უნდა ფლობდეს თანამშრომლობით, შემოქმედებით უნარებს. დიფერენცირებულ საგნობრივ კომპეტენციებს, შემოქმედებით და ინოვაციურ, კვლევისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს, პროექტებით სწავლების მეთოდოლოგიას. კონფლიქტების მართვისა და გადაჭრის უნარ-ჩვევებს. უნდა იყოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების დამწერგავი და განმახორციელებელი.

**4.გეონიათ თუ არა ვაკანტური ადგილები დაწყებით საფეხურზე. მიუთითეთ მათი რაოდენობა ბოლო 5 წლის მანძილზე**




**5. როგორია ახალი კადრების დასაქმების დინამიკა (რამდენი ახალი კადრი გყავთ დაწყებით საფეხურზე)-მიუთითეთ რაოდენობა წლების მიხედვით 2017, 2018, 2019, 2020, 2021**



**6. თქვენს სკოლაში დასაქმებულ დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთაგან არიან თუ არა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები -მიუთითეთ რაოდენობა წლების მიხედვით 2017, 2018, 2019, 2020, 2021**

## უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი გამოკითხულ სკოლებში



7. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში მიანიჭებდით თუ არა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს უპირატესობას სხვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთან მიმართებაში? რატომ?

ზემოთ აღნიშნულ კითხვაზე გამოკითხულთა უმეტესობა დადებით პასუხს სცემს.

დიახ. უპირატესობას მივანიჭებდი, ბევრი მიზეზის გამო.

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი არის ავტორიზებული.
2. აქვს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები
3. ჰყავს წარმატებული კურსდამთავრებულები.
4. რეგიონში არის ლიდერი და მაღალ რეიტინგული სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება.

აღნიშნული სასწავლებელი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამზადებს კვალიფიციურ კადრებს, ეხმარება დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს პროფესიული განვითარების კუთხით. ამდენად, მომავალში შეიძლება ეს ფაქტორი იყოს გათვალისწინებული.

ჩემთვის მთავარია აპლიკანტის ცოდნა და უნარები, თუმცა ამ უნივერსიტეტ დამთავრებულს თავისუფლად მივიღებდი, ჩემმა შვილმა დაამთავრა და ვიცნობ სწავლების ხარისხს.

რატქმაუნდა შესაბამისი ცოდნის ქონის შემთხვევაში.

უნივერსიტეტი არაა მთავარი, მთავარია მისი კვალიფიკაცია.

დიახ. მაქვს ინფორმაცია, რომ თქვენი უნივერსიტეტი აწვდის სტუდენტებს ხარისხიან განათლებას, გაქვთ გამართული ინფრასტრუქტურა.

დიახ.მაქვს ინფორმაცია,რომ თქვენი უნივერსიტეტი აწვდის სტუდენტებს ხარისხიან განათლებას, გაქვთ გამართული ინფრასტრუქტურა.

ადგილობრივ კადრებით დაკომპლექტებდი უფრო

უმაღლეს სასწავლებელს არ აქვს მნიშვნელობა . მთავარია კურდამთავრებული აკმაყოფილებდეს სკოლის მოთხოვნებს.

უპირატესობას ვანიჭებ პროფესიონალიზმს და არა რომელი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

დიახ , რადგანაც უნივერსიტეტი ერთადერთია რეგიონში და შესაბამისად მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულები ადგილზე დასაქმდნენ, რომ არ მოხდეს კვალიფიციური კადრების გადინება .ამასთან აღსანიშნავია მესხიას უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხის დონეც

აპლიკანტი თუ დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რა მოთხოვნებიც იქნება მითითებული ვაკნტური ადგილის დასაკავებლად , დიახ მივანიჭებდი, რადგან, ჯერ ერთი, ჩვენი ქალაქის უმაღლეს სასწავლებელს გავუწევ პოპულარიზაციას, გამომდინარე იქიდან, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის

აპლიკანტი თუ დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რა მოთხოვნებიც იქნება მითითებული ვაკნტური ადგილის დასაკავებლად , დიახ მივანიჭებდი, რადგან, ჯერ ერთი, ჩვენი ქალაქის უმაღლეს სასწავლებელს გავუწევ პოპულარიზაციას, გამომდინარე იქიდან, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი დაკომპლექტებულია პროფესიონალი კადრებით, შესაბამისად მისი კურსდამთავრებულიც იქნება მისაღები კადრი.

კონკურსანტების შერჩევის დროს პრიორიტეტს არ ვანიჭებ რომელი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულია, თუმცა მიმაჩნია ერთგვარი ვალდებულებაც გაგვაჩნია ხელი შევუწყოთ ამ კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულების პროფესიაში შესვლას.

დიახ,რადგან შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სარგებლობს ავტორიტეტით,თან ადგილობრივ კადრს ვანიჭებ უპირატესობას

დიახ, რადგანაც მომწონს და მისაღებია ის პროგრამები და ცოდნა განათლება, რასაც აღნიშნული უნივერსიტეტში ფლობენ

უპირატესობას ვანიჭებ მხოლოდ პროფესიონალიზმს



მივანიჭებ, თუკი კურსდამთავრებულის სოციალურ-აკადემიური უნარები შესაბამისობაში იქნება თანამედროვე მოთხოვნებთან.

რატომაც არა თუ ვაკანსიის პირობებს დააკმაყოფილებს.

გააჩნია მასწავლებლობის მაძიებლის მომზადების დონეს

კი

ჩვენთვის მნიშვნელოვანი ადგილობრივი კადრია, თუმცა არსებულ ვაკანსიებზე საბაზო საფეხურზე შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულად მივიღეთ.

მთავარ უპირატესობას ვანიჭებ პირველ რიგში , ცონას, შემოქმედებითობას, კომუნიკაბელურობას

თუ ექნებოდა სტატუსი მინიჭებული რატომაც არა

არა, კანდიდატის შერჩევისას უპირატესია კომპეტენცია, მისი გამოცდილება, უნარები, პიროვნული თვისებები და დამოკიდებულებები,სტატუსი.

უპირატესობას მივანიჭებდი პრიფესიონალიზს.

უნივერსიტეტს არ მივაქცევდი ყურადღებას, მთავარია მასწავლებლის ცოდნა და შესაძლებლობები

დიახ.დადასტურებული ინფორმაციით არნიშნული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან განსაკუთრებული შესაძლებლობებით

დიახ გავითვალისწინებთ, თუ მის ინტელექტუალური უნარები და უმაღლესი სასწავლებლში მიღებული ცოდნა გამოიხატება ვებალურ კომუნიკაციის შედეგად დადებითი პასუხის შემთხვევაში;

რა თქმა უნდა, მივანიჭებთ, რადგან ჩვენს სკოლას ამ უნივერსიტეტთან კავშირი ჰქონდა USAID-საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში და ამ პერიოდის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგები, სამუშაო შეხვედრებზე მიღებული გამოცდილება მასწავლებლებმა გამოიყენეს პრაქტიკულ საქმიანობაში, დაეხმარათ სიახლეების დანერგვაში.

იმ შემთხვევაში, თუ კურსდამთავრებული აკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნებს, მას მივანიჭებთ უპირატესობას, ვინაიდან უფრო მოსახერხებელია ტერიტორიული სიახლოვეს გამო ამ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა და დარწმუნებული ვართ, რომ შოთა მესხიას სახელობით

უნივერსიტეტი დაკომპლექტებულია კომპეტენტური პროფესორ-მასწავლებლებით.

მივანიჭებთ უპირატესობას, რადგან აღნიშნული უნივერსიტეტი ერთადერთა რეგიონში.

მნიშვნელოვანია კონკურის პირობების დაცვა. უპირატესობა მიენიჭება იმას, ვინც უკეთ წარმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობებს...

მივანიჭებდით. 1.უკვე გვაქვს კარგი შთაბეჭდილება ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე;2. ტერიტორიული სიახლოვე ჩვენს რეგიონთან მნიშვნელოვანია თანამშრომლობისათვის

ყურადრებას მივანიჭებდი მასწავლებლის კომპეტენციას,წარმატებულ საქმიანობას

არა. უპირატესობას მივანიჭებდი აპლიკანტის პროფესიულ და პიროვნულ უნარებს დამთავრებული სასწავლებლის მიუხედავად.

რატომაც არა, მთავარია თვითონ პიროვნება იყოს მოწესრიგებული, კომპეტენტური, საგნის მცოდნე, შემოქმედი და პასუხისმგებლობის გრძობით

მნიშვნელოვანია კონკურის პირობების დაცვა. უპირატესობა მიენიჭება იმას, ვინც უკეთ წარმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობებს...

მივანიჭებდით. 1.უკვე გვაქვს კარგი შთაბეჭდილება ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე;2. ტერიტორიული სიახლოვე ჩვენს რეგიონთან მნიშვნელოვანია თანამშრომლობისათვის

ყურადრებას მივანიჭებდი მასწავლებლის კომპეტენციას,წარმატებულ საქმიანობას

არა. უპირატესობას მივანიჭებდი აპლიკანტის პროფესიულ და პიროვნულ უნარებს დამთავრებული სასწავლებლის მიუხედავად.

რატომაც არა, მთავარია თვითონ პიროვნება იყოს მოწესრიგებული, კომპეტენტური, საგნის მცოდნე, შემოქმედი და პასუხისმგებლობის გრძობით

ყველა ახალი კადრი მიიღება ღია კონკურსის წესით. მათ შორის ვისურვებდით თქვენი უნაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებსაც.

## 8.კომენტარი

გისურვებთ წარმატებებს!

=

წარმატებები მიიწვევს ვუსურვო შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს... ჩემი პატივისცემა თქვენ

კურსდამთავრებულებს ჩვენთან სამუშაოდ შემოსვლა უჭირთ იმიტომ, რომ მათ არ უწერიათ დიპლომში "მასწავლებელი" და გამოცდების ჩაბარება მათთვის სერიოზული ბარიერია. თუ სტუდენტები გაივლიან სასწავლო პრაქტიკას ჩვენთან სკოლაში იქნებ მათაც მეტი სურვილი გაუჩნდეთ სკოლაში შემოსვლის.

მთავარია ჰქონოდათ მიმღეობა და გაცემა თანაზომიერად.

ჩემი მოსაზრებით, სკოლებში მომავალი მასწავლებლებისათვის პრაქტიკული კურსის გავლა და გამოცდილ კადრებთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანი აქტივობაა

დიდ პატივს ვცემ შოთა მესხიას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს.

გამოცდილ კადრებთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანი აქტივობაა

დიდ პატივს ვცემ შოთა მესხიას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს.

ვიცნობ მესხიას სახელობის უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების კურსდამთავრებულებს და მოხიბლული ვარ მათი.

ჩვენს სკოლაში მუშაობს თქვენი კურსდამთავრებული 1 მასწავლებელი.

დიდი მადლობა რომ მომეცა საშუალება მეპასუხა თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე.

მადლობა, ძალიან პროდუქტიული თანამშრომლობისთვის.

სურვილი გვაქვს ვითანამშრომლოთ თქვენს უნივერსიტეტთან

შესაძლოა მომავალ წელს მექნეს ვაკანსიები, ველოდები გამოცდების შედეგებს

დასკვნა

## კითხვარი

1. დაასახელეთ თქვენს უფლებამოსილებაში მყოფი სკოლა
2. თქვენი პოზიცია (დირექტორი/სასწავლო ნაწილი...)
3. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა რაოდენობა ასაკის მიხედვით მიუთითეთ სტატუსი (უფროსი, წამყვანი...)
4. თქვენი აზრით, რა უნარებს უნდა ფლობდეს დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი
5. გქონიათ თუ არა ვაკანტური ადგილები დაწყებით საფეხურზე. მიუთითეთ მათი რაოდენობა ბოლო 5 წლის მანძილზე
6. როგორია ახალი კადრების დასაქმების დინამიკა (რამდენი ახალი კადრი გყავთ დაწყებით საფეხურზე)-მიუთითეთ რაოდენობა წლების მიხედვით 2017,2018,2019,2020,2021
7. თქვენს სკოლაში დასაქმებულ დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთაგან არიან თუ არა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები - მიუთითეთ რაოდენობა წლების მიხედვით 2017,2018,2019,2020,2021
8. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში მიაწვდით თუ არა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს უპირატესობას სხვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთან მიმართებაში? რატომ?
9. სხვა კომენტარი





IX	X	სულ
10	6	243
1	1	56
3	5	83
2	4	148
5	4	207
5	4	252
3	1	45
4	4	119
3	1	14
0	0	0
0	0	0
0	0	0